პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

26 ივლისი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.01.2018, №010250020.35.123.016411), კერძოდ:

1. დადგენილების დანართის მე-4 მუხლს დაემატოს 2^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით: „2^1. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის 2/3-ით ირჩევს საბჭო.“

2. შეიცვალოს დადგენილების დანართის მე-4 მუხლის მესამე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. საბჭოს პერსონალური შემადგენლობა განისაზღვრება 33 წევრისაგან, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, ბრძანებით ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერეულის ხელმძღვანელი- სამდივნო განყოფილების უფროსი

მ.კოსტავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ი.ორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ
ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის
№ 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N8 დადგენილებაში ცვლილება ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში წევრთა რაოდენობის გაზრდას და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესს.

დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წინამდებარე დადგენილების მიღებით, მნიშვნელოვნად გაიზრდება გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლობა, რითაც საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა მიეცემა ქალაქის საზოგადოების ფართო სპექტრს. ამასთან, განისაზღვრება საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევისა წესი.

2. **დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობის ზრდას.

3. **დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

4. **დადგენილების პროექტის ავტორი:**

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

5. **დადგენილების პროექტის წარმომდგენი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, მაგდა კოსტავა.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული
ერეულის ხელმძღვანელი- სამდივნო
განყოფილების უფროსი